ხელშეკრულება საქონლის
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №174

ქ. თბილისი **7 სექტემბერი 2015 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მდებარე ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 2 (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი აპარატის უფროსის ელენე დუმბაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ქინძმარაულის მარანი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ.ყვარელი, ცალგვერდას აღმოსავლეთით, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ტალახაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან მყოფი სტუმრებისთვის გადასაცემი- 11 (თერთმეტი) ცალი სასაჩუქრე ბოთლის ღვინო „საფერავი“ - წითელი მშრალი და 11 (თერთმეტი) ცალი სასაჩუქრე ბოთლის ღვინო „მწვანე“ –თეთრი მშრალის სახელმწიფო შესყიდვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: სასაჩუქრე ბოთლის ღვინო „საფერავი“ - წითელი მშრალი - ერთი ბოთლი ღირებულებით 10.35 (ათი) ლარი და 35 თეთრი, სასაჩუქრე ბოთლის ღვინო „მწვანე“ თეთრი მშრალი -ერთი ბოთლი ღირებულებით 6.95 (ექვსი) ლარი და 95 თეთრი.

1.3 კლასიფიკატორის კოდი: 15900000, 15931200.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 190.30 (ასოთხმოცდაათი) ლარი და 30 თეთრი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია საქონლის შესყიდვასთან) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების თარიღია: ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით.

3.2 “მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს “შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 2.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსის დასკვნის საფუძველზე განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (ხ.ბენდელიანი).

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 პროცენტის ოდენობით.
5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის "შემსყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 პროცენტის ოდენობით.
- გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საქონლის მიღების შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი.

8. *მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას*

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გამოსვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3 თუ მიმწოდებელი/შემსყიდველი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მიმწოდებელს/შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს/შემსყიდველს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. 8.6 მხარეები ადასტურებენ რომ წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენება წარმოადგენს მხარების უფლებას და არა ვალდებულებას.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9..2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
9.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი (მ.ოძელაშვილი)

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების "მხარეთა" მიერ შეუსრულებლობით;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი
მის: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი2
სს „ლიბერთი ბანკის" ცენტრ. ფილ.
ბ/კოდი: LBRTGE 22
ა/ა GE 95 LB 012 515 210 162 7000
ს/კ 204 495 055

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი:

შპს „ქინძმარაულის მარანი"
მის: ქ. ყვარელი, ცალგვერდას აღმოსავლეთით
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბ/კოდი UGEBGE 22
ა/ა GE79VT 7000 0000 6312 3602
ს/კ 241 565 891

ირაკლი ტალახაძე